ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხომის

ოქმი № 13

ქ. თბილისი 16 დეკემბერი 2022 წელი

სხდომა გახსნა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 30 წევრი

სხდომას ესწრებოდა 18 ხმის უფლების მქონე წევრი

დღის წესრიგი

1. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ
   / ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ. საბაური/

2. ეკონომიკის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ
   / ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ. საბაური/
3. თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ეკონომიკის საბაკალავრო და სამაგისტრო ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ
   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფ. ლ. საბაური/

4. ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის არჩეული თავმჯდომარისა და მდივნის დამტკიცება
   /საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი პროფესორი გიორგი ღაღანიძე/

5. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია საბჭოს სხდომის მდივნის არჩევის შესახებ

საბჭოს მდივნად დასახელდა ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე

საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი მანანა ლობჟანიძის კანდიდატურას

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

აზრი გამოთქვეს: ასოცირებულმა პროფესორმა მანანა ლობჟანიძემ მოითხოვა დღის წესრიგში საკითხის დამატება:

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ გრიგოლ მოდებაძის სადისერტაციო ნაშრომის „ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის შეფასება და ადმინისტრირება (თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები)„ მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი, შემფასებლების და კომისიის დამტკიცების შესახებ

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს, წარმოდგენილი დღის წესრიგი ცვლილების გათვალისწინებით:

1. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ
   / ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ. საბაური/

2. ეკონომიკის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ
   / ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ. საბაური/
3. თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ეკონომიკის საბაკალავრო და სამაგისტრო ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ
   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფ. ლ. საბაური/

4. ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის არჩეული თავმჯდომარისა და მდივნის დამტკიცება
   /საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი პროფესორი გიორგი ღაღანიძე/

5. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ გრიგოლ მოდებაძის სადისერტაციო ნაშრომის „ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის შეფასება და ადმინისტრირება (თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები)„ მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი, შემფასებლების და კომისიის დამტკიცების შესახებ
   /დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ლობჟანიძე/

6. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ
/ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ. საბაური/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა ლ. საბაურმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებში განსახორციელებელი ცვლილებები :

I. **ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში მომართვების საფუძველზე განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:**
ა) სასწავლო კურსში **„მიკროეკონომიკის პრინციპები“** შეიცვალა შუალედური და დასკვნითი გამოცდების ხანგრძლივობა: შუალედური გამოცდის ხანგრძლივობაა 70 წუთი, ფინალური გამოცდის ხანგრძლივობა 90 წუთი;
ბ) სასწავლო კურსში **„ეკონომიკის პრინციპები“** (დამატებითი სპეციალობისთვის) - შუალედური გამოცდის ხანგრძლივობაა 80 წუთი, ფინალური - 100 წუთი.
გ) სასწავლო კურსში **„ეკონომიკის პრინციპები“** შუალედური და დასკვნითი გამოცდა რესურს ცენტრის ნაცვლად ჩატარდება აუდიტორიაში საგნის ხელმძღვანელის მიერ;
დ) სასწავლო კურსებში **„მიკროეკონომიკის პრინციპები“** და **„მაკროეკონომიკის პრინციპები“** ლექტორთა ჩამონათვალს დაემატა ასისტ. პროფ. რუსუდან სირბილაძე;
მაკროეკონომიკის პრინციპებში დაზუსტდა თემების სახელწოდებები;
მიკროეკონომიკის პრინციპებში და მაკროეკონომიკის პრინციპებში მიეთითა ქვიზების ზუსტი ვადები.
ე) უცხო ენები (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული)
უცხო ენების (ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული ენები) სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების სქემიდან ამოღებულ იქნა დასწრების კომპონენტი და მის ნაცვლად, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, კონკრეტულად იქნა გაწერილი შეფასების მეთოდები და შეფასების რუბრიკის კომპონენტი. სემესტრული აქტივობის ფარგლებში პრაქტიკუმზე აქტიურობით და ჩართულობით, რაც მოიაზრებს წერითი და ზეპირი დავალებების შესრულებას, ასევე პროგრესტესტების შევსებას სახელმძღვანელოს თავების მიხედვით, სტუდენტს 30 ეძლევა ქულის დაგროვების შესაძლებლობა. პრაქტიკუმზე აქტიურობა ფასდება ყოველკვირეულად მაქს. 2 ქულით.

ვ) სასწავლო კურსებში **,,ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 1“** და **,,ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 2“** შეფასების კომპონენტებში დასწრება შეიცვალა აქტივობით და გაიწერა აქტივობის შეფასების ახალი სქემა.

ზ) სასწავლო კურსში ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა

შეიცვალა შეფასების მეთოდები:

- აქტივობა პრაქტიკულ მეცადინეობაზე - 6 ქულა;
- წერითი შემოწმებები (ქვიზები) – 6 x 4 = 24 ქულა;
- შუალედური გამოცდა (კოლოქვიუმი) - 30 ქულა;
- დასკვნითი (ფინალური) გამოცდა - 40 ქულა.

დასწრების 5 ქულა დაემატა შუალედური შეფასების 25 ქულას და გახდა 30 ქულა; გარდა ამისა, 12 ქვიზი შემცირდა 6 ქვიზამდე, მაგრამ თითოეულის შეფასება გაიზარდა 2-დან 4 ქულამდე და ჯამური ქულა დარჩა უცვლელი.

თ) სასწავლო კურსებში ,,მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის 1" და ,,მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის 2"

განხორციელებულია შემდეგი ცვლილება:

1. სილაბუსის ავტორებიდან ამოღებულია თ. ზერეკიძე; ჩამატებულია ო. ფურთუხია და ა. აპლაკოვი.
2. შეიცვალა შუალედური შეფასების მეთოდები:

3 საკონტროლო წერა 10-10 ქულიანი= 30 ქულა
შუალედური გამოცდა- 30 ქულა
ჯამი 60 ქულა
ფინალური გამოცდა 40 ქულა.

ი) სასწავლო კურსში „ფინანსური აღრიცხვა" (5 კრედიტი) შეიცვალა ლიტერატურა, რამაც გამოიწვია მცირედი ცვლილებები სასწავლო კურსის შინაარსში.

კ) სასწავლო კურსში „აუდიტის საფუძვლები" (5 კრედიტი) შეიცვალა შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების მეთოდი და ჩატარების ფორმატი, კერძოდ: შუალედური და დასკვნითი შეფასება განხორციელდება კომპიუტერული საგამოცდო პროგრამით, ტესტირების სახით.

II. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში მომართვების საფუძველზე განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

1. სასწავლო კურსში „მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები" (5 კრედიტი, ავტ. დ. ნარმანია, ე. ჩოხელი,) შეიცვალა შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩატარების ფორმა, კერძოდ, შუალედური და დასკვნითი გამოცდები ჩატარდება კომპიუტერულ რესურს-ცენტრში.
საფუძველი: სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება/გადამუშავება.

1. კონცენტრაციაში „მარკეტინგი" მეორე სემესტრში დაემატა არჩევით სასწავლო კურსი „ციფრული მარკეტინგი" (5 კრედიტი, ავტ. ნ. თოდუა).
საფუძველი: არჩევითი სასწავლო კურსების მრავალფეროვნების გაზრდა.

2. **პროგრამას დაემატა ახალი არჩევითი კონცენტრაცია „გლობალურ გარემოში მენეჯმენტი" (კონცენტრაციის ხელმძღვანელი: პროფ. გ. ღაღანიძე), კერძოდ:**

კონცენტრაციის შექმნის **ძირითადი მიზანია** აღჭურვოს მაგისტრები საჭირო უნარებითა და ცოდნით გლობალურ გარემოში ფუნქციონირებადი ბიზნესის მენეჯმენტის ისეთ სპეციფიურ საკითხებზე, როგორიცაა: საექსპორტო ოპერაციების წარმოება, მოლაპარაკებების გამართვა, გლობალურ გარემოში პროექტების მართვის სპეციფიკა და სხვა.

კონცენტრაციაში გარდა მაპროფილებელი კათედრისა წარმოდგენილია სხვა კათედრების სასწავლო დისციპლინებიც.

კონცენტრაციის 50 კრედიტი ნაწილდება, როგორც 40 სავალდებულო და 10 არჩევითი კრედიტი.

სავალდებულო სასწავლო კურსები (40კრედიტი):

1. მენეჯმენტი გლობალურ გარემოში – 5 კრედიტი (პროფესორი გ. ღაღანიძე, ე.ა.დ. გ.გრიგოლაშვილი) (II სემესტრი)
2. საერთაშორისო ვაჭრობის მენეჯმენტი - 5 კრედიტი (პროფესორი გ. ღაღანიძე) (III სემესტრი)
3. კონკურენტული სტრატეგიები - 5 კრედიტი (ასოცირებული პროფესორი ბ. რამიშვილი) (II სემესტრი)
4. ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკა - 5 კრედიტი (ასოცირებული პროფესორი ნ. პაიჭაძე, მ. ტუღუში, ნ. ხარაძე) (II სემესტრი)
5. სტრატეგიული მენჯმენტი ციფრულ ეკონომიკაში - 5 კრედიტი (პროფ. გ. ღაღანიძე, ასოც. პროფ. ბ. რამიშვილი) (III სემესტრი)
6. კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების მართვა - 5 კრედიტი (ასოცირებული პროფესორი ნ. ფარესაშვილი) (III სემესტრი)
7. პროექტების მართვა გლობალურ გარემოში – 5 კრედიტი (ასოცირებული პროფესორი ბ. რამიშვილი) (II სემესტრი).
8. კვლევის მეთოდები - 5 კრედიტი (პროფ. ნ. თოდუა) (II სემესტრი).

არჩევითი მოდული (10 კრედიტი)

1. ინფორმაციული ტექნოლოგიები საბაჟო საქმიანობის მართვაში - 5 კრედიტი (ასოცირებული პროფესორი რ. სეთურიძე) (III სემესტრი)
2. ლიდერობა **და** ემოციური ინტელექტი – 5 კრედიტი (ასოცირებული პროფესორი ნ. ხარაძე, ასისტენტ-პროფესორი დ. ფირცხალაიშვილი) (III სემესტრი)
3. საერთაშორისო ბიზნესის დიპლომატია – 5 კრედიტი (ასოც. პროფ. ლ. ხიხაძე) (III სემესტრი)
4. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები - 5 კრედიტი (ასისტ. პროფესორი თ. კბილაძე) (III სემესტრი)
5. საერთაშორისო ბიზნესის სტატისტიკა – 5 კრედიტი (პროფესორი ს. გელაშვილი, ე.ა.დ. ნ. ასლამაზიშვილი) (III სემესტრი)
6. საერთაშორისო ფინანსები - 5 კრედიტი (ასოც. პროფ. ლ. ბახტაძე, ასოც. პროფ. ე. ჯგერენაია) (III სემესტრი)

კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით:

I სემესტრი: არსებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის იდენტურია.

II სემესტრი: საფაკულტეტო სავალდებულო საგანს აკადემიური წერა (5 კრ.) ემატება კონცენტრაციის სავალდებულო 5 სასწავლო დისციპლინა (25 კრ.)

III სემესტრი: მოდულის 3 სავალდებულო დისციპლინა (15 კრ.), ორი არჩევითი დისციპლინა (10 კრ.) და კვლევითი პროექტი (5 კრ.).

IV სემესტრი: პროფესიული პრაქტიკა (10 კრ.) და სამაგისტრო ნაშრომი (20 კრ.)

პროფესიული პრაქტიკის გავლისას მაგისტრანტებისთვის შეთავაზებული იქნება ქართული ექსპორტ-ორიენტირებული საწარმოები, ასევე საქართველოში მოქმედ მულტი-ნაციონალურ კორპორაციები, ვაჭრობისა და ექსპორტის ხელშემწყობი სტრუქტურები (სავაჭრო პალატები), ექსპორტისა და ინვესტიციების ხელშემწყობი სააგენტოები, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტები.

კონცენტრაციაში წარმოდგენილი სილაბუსების უდიდესი ნაწილი მოქმედია და აკრედიტირებული. პროგრამაში ჩართულია ერთი ახალი სასწავლო კურსი „პროექტების მართვა გლობალურ გარემოში“.

საფუძველი: არჩევითი კონცენტრაციების მრავალფეროვნების გაზრდა.

III. **ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში მომართვების საფუძველზე განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:**

სასწავლო კურსში "სტატისტიკური პროგნოზირების მეთოდები ეკონომიკასა და ბიზნესში" (ავტ. ს. გელაშვილი): შეფასების კომპონენტებში დასწრება შეიცვალოს აქტივობით და გაიწეროს აქტივობის შეფასების სქემა.

საფუძველი: სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება/გადამუშავება.

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 18

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებში წარმოდგენილი განსახორციელებელი ცვლილებები.

მოისმინეს: ეკონომიკის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ

/ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ. საბაური/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა ლ. საბაურმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში განსახორციელებელი ცვლილებები:

I. **ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში მომართვების საფუძველზე განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:**

1. სასწავლო კურსში - **,,ეკონომიკური ისტორია“** შეფასების კომპონენტში შეიცვალა შუალედური და დასკვნითი გამოცდების ფორმატი. ???

2. მოდულში ,,მაკროეკონომიკა“ სასწავლო კურსში „ეკონომიკური განვითარება“- შუალედური და დასკვნითი გამოცდა ჩატარდება საგამოცდო ცენტრის ნაცვლად კომპიუტერულ რესურს-ცენტრში. საგამოცდო ბილეთში ნაცვლად 15 ტესტისა და ერთი თეორიული საკითხისა მოცემული იქნება 20 ტესტი. დასკვნით გამოცდაზე ნაცვლად 30 ტესტისა და 2 თეორიული საკითხისა მოცემული იქნება 40 ტესტი.

საფუძველი: სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება/გადამუშავება.

II. **ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში მომართვების საფუძველზე განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:**

1. სამაგისტრო პროგრამის განახლებული სასწავლო კურსში **,,კვლევის მეთოდები ეკონომიკაში"** შეიცვალა ავტორი - მ. თოქმაზიშვილის ნაცვლად წარმოდგენილია შ. ვეშაპიძე.
2. **კონცენტრაციაში: ,,ეკონომიკისა და ეკონომიკური აზრის ისტორი"**
   - წინაპირობები მოეხსნა შემდეგ სასწავლო კურსებს: საერთაშორისო ფინანსების ისტორია; ტრანსფორმაციული ეკონომიკა; საერთაშორისო შრომითი მიგრაცია; ევროკავშირის ეკონომიკა; საერთაშორისო ფინანსები; მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია.
   - არჩევითი სასწავლო კურსებიდან ამოღებულია სასწავლო კურსები ,,ნედლეულის ეკონომიკა" და ,,საერთაშორისო კონკურენცია".
3. **კონცენტრაციაში ,,საერთაშორისო ეკონომიკა":**
   - წინაპირობები მოეხსნა შემდეგ სასწავლო კურსებს: ევროკავშირის ეკონომიკა; მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია; საერთაშორისო ფინანსები; საერთაშორისო ფინანსების ისტორია; საერთაშორისო სასაქონლო და ფაქტორული ბაზრები; საერთაშორისო შრომითი მიგრაცია; ტრანსფორმაციული ეკონომიკა;
   - არჩევითი სასწავლო კურსიდან ამოღებულია სასწავლო კურსი ,,ნედლეულის ეკონომიკა"
   .
4. **კონცენტრაციაში ,,საერთაშორისო ფინანსები":**
   - წინაპირობები მოეხსნას შემდეგ სასწავლო კურსებს: საერთაშორისო ფინანსები; კაპიტალის ბაზრის ანალიზი; მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება და ანალიზი SPSS; მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია"; საერთაშორისო ფინანსური ბაზრები; საერთაშორისო ფინანსების ისტორია; საერთაშორისო შრომითი მიგრაცია.
   - არჩევითი სასწავლო კურსიდან ამოღებულია სასწავლო კურსი ,,ნედლეულის ეკონომიკა"
5. კონცენტრაციაში **,,ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკური დიპლომატია"** წინაპირობები მოეხსნას შემდეგ სასწავლო კურსებს: ეკონომიკური პოლიტიკის თეორია; განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა; მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა; ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა; ეკონომიკური დიპლომატია; გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკა; ფირმის განვითარების მასტიმულირებელი საგადასახადო პოლიტიკა; რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა; საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა; შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკა; საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე; სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა.

საფუძველი: სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება/გადამუშავება.

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 18

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში წარმოდგენილი განსახორციელებელი ცვლილებები.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ეკონომიკის საბაკალავრო და სამაგისტრო ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ
/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფ. ლ. საბაური/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა ლ. საბაურმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ეკონომიკის საბაკალავრო და სამაგისტრო ინგლისურენოვან საგანმანათლებლო განსახორციელებელი ცვლილებები:

I. **ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) საბაკალავრო პროგრამა ეკონომიკაში მომართვების საფუძველზე განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:**

- არჩევით სასწავლო კურსებში „ენერგეტიკის ეკონომიკა“ და „ინოვაციების ეკონომიკა“ დაშვების წინაპირობის ცვლილება: მიკროეკონომიკა 2-ის მიკროეკონომიკა 1-ით ჩანაცვლება, რადგან აღნიშნული მიკროეკონომიკა 1 სრულად ფარავს იმ საკითხებს, რომელიც საჭიროა „ენერგეტიკის ეკონომიკის“ და „ინოვაციების ეკონომიკის“ კურსის დასაძლევად.
  დეტალები: აღნიშნული ჰიბრიდული/შერეული კურსები ხორციელდება პარტნიორი უნივერსიტეტის CERGE-EI-ის მიერ და პარალელურად ისწავლება რამდენიმე სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებში. კურსის ხარისხის შეფასების მიზნით CERGE-EI-დან მოხდა სილაბუსების წინაპირობების გადახედვა.

  საფუძველი: სასწავლო კურსების სილაბუსების წინაპირობების განახლება პარტნიორი უნივერსიტეტის CERGE-EI-ის მიერ.

II. **ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) სამაგისტრო პროგრამა ეკონომიკაში (ინგლისურენოვანი პროგრამა) მომართვების საფუძველზე განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:**

- სამაგისტრო პროგრამაზე მიმდინარე შემოდგომის სემესტრში ორ სასწავლო კურსში „მაკროეკონომიკა III“ და „მონეტარული ეკონომიკა“ ლექციების 50%-მდე ელექტრონულ ფორმატში ჩატარება, ხოლო გამოცდის პირისპირ რეჟიმში ჩატარება საქართველოში.
  საფუძველი: კანონში შეტანილი უახლესი ცვლილებები, უცხოელი ლექტორის უცხოეთიდან განსაზღვრული პერიოდით საქართველოში ვიზიტი. სილაბუსის შესაბამისად განახლება.

- არჩევით სასწავლო კურსში „ეკონომეტრიკის უმაღლესი კურსი“ ლექციების სრულად ელექტრონულად უცხოეთიდან წაკითხვა, ხოლო გამოცდის პირისპირ რეჟიმში ჩატარება საქართველოში.

საფუძველი: კანონში შეტანილი უახლესი ცვლილებები, უცხოელი ლექტორების საზღვარგარეთ ყოფნა. სილაბუსის შესაბამისად განახლება.

საფუძველი: სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება/გადამუშავება.

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 18

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს, თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ეკონომიკის საბაკალავრო და სამაგისტრო ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებში წარმოდგენილი **განსახორციელებელი ცვლილებები.**

მოისმინეს: ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის არჩეული თავმჯდომარისა და მდივნის დამტკიცება

/საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი პროფესორი გიორგი ღაღანიძე/

საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის არჩეული თავმჯდომარე პროფესორი გ.ღაღანიძე და მდივანი ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 18

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს:

1. ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის თავმჯდომარედ პროფესორი გ.ღაღანიძე;

2. ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის მდივნად ასოცირებული პროფესორი მ.ლობჟანიძე.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ გრიგოლ მოდებაძის სადისერტაციო ნაშრომის „ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის შეფასება და ადმინისტრირება (თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები)„ მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი, შემფასებლების და კომისიის დამტკიცების საკითხი:

რეცენზენტები:

1.ასოცირებული პროფესორი გივი ბედიანაშვილი
2. ეკონომიკის დოქტორი დავით დარსაველიძე

სადისერტაციო კომისია:

1. აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა
2. პროფესორი თემურ ბერიძე
3. პროფესორი რევაზ გველესიანი
4. პროფესორი ეთერ ხარაიშვილი
5. პროფესორი ანზორ აბრალავა (*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)*
6. ასოც. პროფ. თამარ ათანელიშვილი
7. ასოც. პროფ. გულნაზ ერქომაიშვილი
8. ეკონომიკის დოქტორი იოსებ არჩვაძე
9. ასოც. პროფ. მანანა ლობჟანიძე
10. ასოც. პროფ. მარინა ნაცვალაძე
11. ასოც. პროფ. მიხეილ ჩიკვილაძე
12. ასოც. პროფ. მალხაზ ჩიქობავა
13. ასისტენტ- პროფ. რუსუდან სირბილაძე

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 18

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: **დამტკიცდეს,** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ გრიგოლ მოდებაძის სადისერტაციო ნაშრომის „ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის შეფასება და

ადმინისტრირება (თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები)„ მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი

I რეცენზენტები:

1.ასოცირებული პროფესორი გივი ბედიანაშვილი
2. ეკონომიკის დოქტორი დავით დარსაველიძე

II სადისერტაციო კომისია:

1. აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა
2. პროფესორი თემურ ბერიძე
3. პროფესორი რევაზ გველესიანი
4. პროფესორი ეთერ ხარაიშვილი
5. პროფესორი ანზორ აბრალავა (*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)*
6. ასოც. პროფ. თამარ ათანელიშვილი
7. ასოც. პროფ. გულნაზ ერქომაიშვილი
8. ეკონომიკის დოქტორი იოსებ არჩვაძე
9. ასოც. პროფ. მანანა ლობჟანიძე
10. ასოც. პროფ. მარინა ნაცვალაძე
11. ასოც. პროფ. მიხეილ ჩიკვილაძე
12. ასოც. პროფ. მალხაზ ჩიქობავა
13. ასისტენტ- პროფ. რუსუდან სირბილაძე

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
თავმჯდომარე პროფესორი გ.ლომანიძე

მდივანი, ასოცირებული პროფესორი მ.ლობჟანიძე